

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და არსებული პროგლობები საქართველოში

თამარ მენაბდე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილებათ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის პრობლემები საქართველოში. წარმოდგენილია სასაქონლო ნიშნის როლი კომერციული დანიშნულების თვალსაზრისით, პირატული და გაყალბებული პროდუქციით სარგებლობის პრობლემები. შემოთავაზებულია საკითხები: რა არის ინტელექტუალური საკუთრება; რა მდგომარეობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში; ასოციაცია „Business Software Alliance“-ის მუშაობის მიზანი და შედეგები საქართველოში; რა სარგებელს ნახელობს სავტორო უფლების მფლობელი; რა კომერციული დანიშნულება გააჩნია სასაქონლო ნიშანს; რა მდგომარეობა საქართველოში პირატული და გაყალბებული პროდუქციის გამოყენების თვალსაზრისით; ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა თანამედროვე კომერციულ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური საკუთრება. პირატული პროდუქცია. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები.

1. შესავალი

ინტელექტუალური საკუთრება მიუთითებს ადამიანის გონიერიები შრომის შედეგად მიღებულ ნაშრომზე, იქნება ეს გამოგონება, ლიტერატურული თუ სამსატვრო ნაშრომი, სიმბოლო, დასახელება, იმიჯი და დიზაინი, რომელიც ვაჭრობის სფეროში გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, თუ სად ხდება ამის გამოყენება მუსიკალურ პროდუქციაში, კინემატოგრაფიაში, ახალ ტექნოლოგიებსა თუ სამედიცინო წინსვლებში. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების დაცვა ხელს უწყობს იმას, რომ მსოფლიო კვლავ გააგრძელოს ახალი ტექნოლოგიების, შემოქმედებით საქმიანობისა და ახალი სახის პროდუქციის შექმნის მიზნით დახარჯული დროით, რესურსითა და ინტელექტუალური შესაძლებლობებით სარგებლობა.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ასევე საჭიროა და და სამართლიანი კონკურენციის დასამყარებლად და ეკონომიკური წინსვლის შესანარჩუნებლად. აგრამ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პროცესში უამრავ მნიშვნელოვან სირთულეს გაწყდებით.

2. ძირითადი ნაწილი

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები პატენტის, სასაქონლო ნიშნის, დიზაინის, სავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებლი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. უძველესი დროიდან არსებობდა სპეციალური ნიშნები, რომლებიც ეკუთვნოდა პროდუქციის მწარმოებელს [1].

ინტელექტუალური საკუთრების მზადი მნიშვნელობა თანამედროვე კომერციულ საქმიანობაში განაპირობა გაძლიერებულმა კონკურენციამ. სასაქონლო ნიშნების საშუალებით მომხმარებელს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისაგან საქონლის მწარმოებელი, საქონლის ხარისხის და ფასი. სასაქონლო ნიშანი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი რეკლამა საქონლის მიწოდებისას და მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის კონტაქტის დამყარების საშუალება. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო

გაჭრობის ხელშეწყობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს და შემოსავლების სამსახურს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ამ უფლებების დაცვაში.

შემოსავლების სამსახური იცავს ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებს, რომლებიც შეტანილია „შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში“. რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველო უკვე დიდი ხანია არის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (იმსო) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი. საქართველოს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შეესაბამება და ჰარმონიზებულია საერთაშორისო ზელშეკრულებებთან და ევროკავშირის ნორმატიულ აქტებთან.

საქართველო შემჩნეულია, ასე ვთქვათ, მითვისებებით, სხვისი სახელის გამოყენებით. შემჩნეული ვართ პირატული და გაყიდვებული პროდუქტების გამოყენებაში ძირითადად, კომპიუტერული პროგრამების და ციფრული პროდუქტების გამოყენებაში. ეს რეიტინგებშიც ასახულია [2]. ვსარგებლობთ არალეგალური კომპიუტერული პროგრამებით, არალეგალურად ვუსმენთ მუსიკას, ვუყურებთ ფილმებს, ტელევიზიები აჩვენებსუკანონიდ ახალ ფილმებს და ასე შეძლება.

Business Software Alliance-ის კომპანია, რომელიც მუშაობს კომპიუტერული Software კომპიუტერული პროგრამების ნაწილში [1]. კომპანია აქვეყნებს რეიტინგებს, სადაც არალეგალური, პირატული ნაწარმის მოხმარებას ქვეყნების მიხედვით შეფასებას აძლევს. 2009 წლის მონაცემებით, საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს.ალბათ იმიტომ, რომ არა მარტო კერძო მომხმარებელი, საჯარო სამსახურებიც კი არალეგალური კომპიუტერული პროგრამებით მუშაობენ.

მთავრობა მიზანმიმართულად ცდილობს გამოასწოროს რეიტინგის ასეთი მდგომარეობა [3]. უცხოური კომპანია როცა შემოდის ბაზარზე და ზედავს ქვეყანაში ასეთი რეიტინგია, იგი თავს იკავებს შემდგომი აქტიურობისგან. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების რომელიმე კომპანიას რომ მოუნდეს აქ შექმნას რაიმე პროდუქტი, მას შიში ექნება, რომ ვიღაცა არასანქცირებულად შექმნის მისი პროდუქტის დუბლს და გაყიდის დაუკითხავად. თვით პროდუქტის მფლობელი კომპანია კი გაყიდვას ვერ მოახერხებს და შემოსავალს დაკარგავს.

ანმაგალითად, ადგილობრივმა რეესისორმა რომ მოიზიდოს თანხები, დააფინანსოს კინოგადაღება, შექმნას ახალი ფილმი, მეორე დღესვეშესაძლებელია იგი ბაზრობაზე გაიყიდოს ლიცენზიის გარეშე(მაგალითად, ათ ლარად, დისკებზე ჩაწერილი), ანუ მფლობელი რეესისორიკარგავს კუთვნილ შემოსავალს.

ამგვარად, ადგილობრივი მწარმოებელი ცუდ დღეში ვარდება. კანონმდებლობაში ამის თავიდან აცილების ცველანარი სანქციები არსებობს, უბრალოდ არ ხდებააღსრულება. არ მიდის პოლიცია ბაზრობებზე რეიდებით, არ იბლოკება ვებსაიტები და ასე შეძლება, მარტო აკრძალვები არ წარმოადგენს პრობლემასთან ეფექტურ მიღომას. ხალხის ცნობიერებაშიც უნდა მოხდეს ცელილება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თითქმის არავინ იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას. ამ ბოლო პერიოდში მხოლოდ ქართული შოუ ბიზნესის წარმომადგენლები აქტიურობენ და ცდილობენ დაიცვან თავიანთი ინტელექტუალური საკუთრება[4]. მაგრამ არსებული რეალობა ჯერჯერობით მაიც არ იცვლება.

სულ სხვა ვითარებაა ქართულ „ციფრულ სამყაროში“. მაგალითისთვის ავილოთ „Business Software Alliance“-ის მონაცემები, რომლის თანახმადაც საქართველო პირველ ადგილზეა (93%-

თი) მექობრული პროგრამების გამოყენებაში. ის ისეთი ქვეყნების გვერდით დგას სიაში როგორებიცაა: ზიმბაბვე (91%), მოლდავეთი (90%) და ბანგლადეში (90%).

მიხედავად იმისა რომ არსებობს კანონი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ, მაიც არ არსებობს ის მექანიზმი, რომელიც აიძულებდა მომხმარებელს ესარგებლა ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით.

ახლახანს საქართველოში მოქმედება დაიწყო ასოციაცია „Business Software Alliance”-მა. იგი აერთიანებს პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლებს მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად ისეთებს, როგორიცაა Apple, Microsoft, Kaspersky, Dell და ა.შ. და სწორედეს შეუქმნის სირთულეებს როგორც მთავრობას, ისე მოსახლეობას, ფასიანი ოპერაციული სისტემების, უტილიტების თუ სხვა ტიპის პროგრამული უზრუნველყოფის უფასოდ გამოყენების შემთხვევაში.

ეპონომიკური ფაქტორის გარდა, რაც უმთავრესად განაპირობებს მექობრული პროდუქციის გამოყენებას, არის კიდევ ერთი რამ. კერძოდ, საზოგადოების დამოკიდებულება – აზროვნება, რომელიც გააჩნია საზოგადოების უმეტეს ნაწილს, შესაცვლელია.

დასაფიქრებელია, ფასიანი პროდუქციის რამდენი აღტერნატივა არსებობს? როგორც ოპერაციული სისტემების, ისე სხვა პროგრამული უზრუნველყოფის, რომელიც ხელმისაწვდომია უფასო ლიცენზიის მქონე OS-ის მომხმარებლისთვის. თუ გიყითხავთ მათთვის ვინც სარგებლობს Microsoft-ის ნებისმიერი ოპერაციული სისტემით, რომელიც მუდამ „გადასაყენებელია”, რომელსაც ვერ უცემებს საჭირო განახლებას, იმიტომ რომ მის OS-ს არ შეუძლია ეწ. „ჯენუინ ვალიდაციის” გავლა წარმატებით, ხშირად აწუხებს ვირუსები, რომლებსაც ანტივირუსი ვერ იჭერს და ა.შ., რატომ იყენებს მას? თუ გიხსენებიათ უფასო OS-ი, Open Source-ული პროგრამული უზრუნველყოფა, მაგალითად ლინუქსი და რა რეაქცია მოყოლია ამას მოსაუბრისგან? პასუხი ალბათ შემდეგი შინაარსის იქნებოდა, თუ უფასოა, ნამდვილად არ არის კარგი, ამის გამო მისი ცდაც კი არ ღირს და ა.შ.

3. დასკვნა

პრობლემა ნამდვილად უფრო დიდია ვიდრე გარედან ჩანს. ოპერაციული სისტემები და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა შესაცვლელია არა მარტო კომპიუტერზე არამედ ჩვენში, ჩვენს აზროვნებაში და შემდეგ უფრო მარტივი და მსუბუქი გადასატანი იქნება ის ფაქტი, რომ ცოტა ხანში ნებისმიერ მომხმარებელს საქართველოშიც კი უული ექნება გადასახდელი ფასიანი პროგრამებით სარგებლობისათვის.

ლიტერატურა:

1. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. Forum.ge
2. საავტორო უფლებები და ინტელექტუალური საკუთრება. www.radiotavisufleba.ge
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №181. (2010). საჯარო სამართლის ოურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი“-ს დებულება. თბილისი
4. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა. www.gca.ge
5. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტო „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის“ www.sakpatenti.org.ge
6. მეცნიერების მენეჯმენტი. ინტელექტუალური საკუთრების მარკეტინგი. ინტელექტუალური კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. თსუ.თბილისი. www.tsu.ge

INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS AND PROBLEMS IN GEORGIA

Menabde Tamar

Georgian Technical University

Summary

Discussed: Protection of intellectual property rights problems in Georgia. Trade mark role prescription in business; Problem to use pirated and fabricated production. The article covers the following issues: what's intellectual property; protection of intellectual property rights in Georgia; operating conditions and results "Business Software Alliance" association in Georgia. What benefits has copyright owner; what business prescription has trade mark; what situation is in Georgia make use pirated and fabricated production; Intellectual property meaning in trade business.

**ЗАЩИТА ПРАВ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ СОБСТВЕННОСТИ И
СУЩЕСТВУЮЩИЕ ПРОБЛЕМЫ В ГРУЗИИ**

Менабде Т.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются проблемы защиты прав интеллектуальной собственности в Грузии. Показана роль торговой марки в коммерческих условиях, проблемы использования пиратской и контрафактной продукции. Рассматриваются вопросы: что такая интеллектуальная собственность; какова ситуация в Грузии с точки зрения защиты интеллектуальной собственности; цель работы и достигнутые результаты ассоциации "Business Software Alliance"; коммерческое назначение торговой марки; какова ситуация в Грузии с точки зрения использования пиратской и контрафактной продукции; роль интеллектуальной собственности в современной коммерческой деятельности.